შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ახალი მშენებელი

2019-2020 წელი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2. სრული შემოსავლის ანგარიშგება

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ახალი მშენებელი ს.ნ 245605117 , შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 17.10.2007 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, პუშკინის 1, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. 1 . საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ზურაბ დუმბაძე (პ/ნ: 61003001790).
საწარმოს ძირითადი საქმიანობაა არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, საბითუმო ვაჭრობა ლითონისა და მდფ კარით, საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2.1 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.
საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი დეკემბრის.

2.2. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

_ ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, საწპობამდე მიტანის ხარჯებს;

_ უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;
_ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
_ ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;
_ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება კლებადი მეთოდით.
2.3. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა
_ შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;
_ უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;
_ საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით;
_ ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
_არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება კლებადი მეთოდით.
2.4. სხვა აქტივების აღრიცხვა
_ მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება სხვა მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში;
_ სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშუალებები აისახება სხვა მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.
2.5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა
_ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, განბაჟების ხარჯებს . ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;
_ სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი;
_ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია `საშუალო-შეწონილი~;.
-საწარმოო ზედნადები ხარჯები ჩამოიწერება გაანგარიშებული (გეგმური) ხარჯების მიხედვით, ხოლო ფაქტობრივი ხარჯები აისახება ზედნადები ხარჯების სინთეზური ანგარიშის დებეტში.

-ფაქტობრივი ზედნადები ხარჯების გადამეტება პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილ ზედნადებ ხარჯებზე წლის ბოლოს მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს;
_ პროდუქციის უსასყიდლოდ გადაცემა საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებზე, სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციებზე, საბავშვო და მოხუცებულთა სახლებისათვის ჩამოიწერება არასაოპერაციო ხარჯებში.
_ დამატებითი ანალიზური აღრიცხვა დასაშვებია სხვა კომპიუტერული პროგრამებითაც.

. 2.7. ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:
_ მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;
_ კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;
_ მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე;
_სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.
2.8. მოთხოვნების აღრიცხვა
_ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად;
2.9. ვალდებულებების აღრიცხვა
_ ვალდებულებები საქონლის მომსახურების მომწოდებლების მიმართ: მეკავშირე საწარმოს, ურთიერთდამოკიდებული პირების, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აღირიცხება გამიჯნულად;
2.10. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა
_ საწარმოს კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით
_ კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება `მეწარმეთა შესახებ~ კანონით განსაზღვრული წესით.
2.11. ინვესტიციების აღრიცხვა
_ მიმდინარე ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით;
_ გრძელვადიანი ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით.
2.12. შემოსავლების აღრიცხვა
_ შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
2.13. ხარჯების აღრიცხვა

_ ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
_ ხარჯების აღრიცხვის შინაარსი _ ფუნქციური დანიშნულებით.
2.14. ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

3. მოგება-ზარალი:
3.1. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
_ დივიდენდების გასაცემად;
_ საწარმოს რეინვესტირებისათვის;
_ სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.2. მოგების გადასახადი:
_ მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

© აღნიშნულ სატრენინგო მასალებზე დაცულია თორნიკე ჩხაიძის საავტორო უფლებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2019	31.12.2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	122 590	140 757
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	122 590	**140 757**
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	103 883	214 341
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2 885 550	1 394 169
მარაგები	1 291 375	1 707 510
	4 280 808	**3 316 020**
მთლიანი აქტივები	**4 403 398**	**3 456 777**
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	37 000	17 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3 721 268	2 839 976
გადაფასების რეზერვი	0	0
	3 758 268	**2 856 976**
ვალდებულებები		
სესხები	0	241 075
გადავადებული შემოსავალი	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	645 130	350 823
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გადასახდელი პროცენტი	0	0
გადასახდელი დივიდენდი	0	7 903
	645 130	**599 801**
მთლიანი ვალდებულებები	**645 130**	**599 801**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	**4 403 398**	**3 456 777**

შემოწმება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	4 425 542	3 058 353
თვითღირებულება	(3 420 309,00)	(1 832 102,00)
	-	-
საერთო მოგება	**1 005 233**	**1 226 251**
სხვა შემოსავლები	-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(93 741)	(354 725)
სხვა ხარჯები	(10 200)	(361 799)
საოპერაციო მოგება	**901 292**	**509 727**
ფინანსური შემოსავალი	-	-
ფინანსური ხარჯი	-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა	- -	-
მოგება დაბეგვრამდე	**901 292**	**509 727**
მოგების გადასახადი	-	-
პერიოდის მოგება	**901 292**	**509 727**
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით	-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	**901 292**	**509 727**

© აღნიშნულ სატრენინგო მასალებზე დაცულია თორნიკე ჩხაიძის საავტორო უფლებები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	**17 000**	**2 839 976**	**2 856 976**
მოგება წლის ბოლოს	20 000	881 292	**901 292**
პერიოდის სრული შემოსავალი	20 000		**901 292**
გაცემული დივიდენდი		-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	**37 000**	**3 721 268**	**3 758 268**

© აღნიშნულ სატრენინგო მასალებზე დაცულია თორნიკე ჩხაიძის საავტორო უფლებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2020	31.12.2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	22 820	122 590
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	22 820	**122 590**
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	166 497	103 883
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3 719 805	2 885 550
მარაგები	115 620	1 291 375
	4 001 922	**4 280 808**
მთლიანი აქტივები	**4 024 742**	**4 403 398**
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	5 000	37 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3 838 527	3 721 268
გადაფასების რეზერვი	0	0
	3 843 527	**3 758 268**
ვალდებულებები		
სესხები	0	0
გადავადებული შემოსავალი	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	181 215	645 130
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გადასახდელი პროცენტი	0	0
გადასახდელი დივიდენდი	0	0
	181 215	**645 130**
მთლიანი ვალდებულებები	**181 215**	**645 130**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	**4 024 742**	**4 403 398**

შემოწმება - -

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	1 385 509	4 425 542
თვითღირებულება	(1 256 850,00)	(3 420 309,00)
	-	-
საერთო მოგება	**128 659**	**1 005 233**
სხვა შემოსავლები	-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(25 400)	(93 741)
სხვა ხარჯები	(18 000)	(10 200)
საოპერაციო მოგება	**85 259**	**901 292**
ფინანსური შემოსავალი	-	-
ფინანსური ხარჯი	-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა	-	-
მოგება დაბეგვრამდე	**85 259**	**901 292**
მოგების გადასახადი	-	-
პერიოდის მოგება	**85 259**	**901 292**
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით	-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	**85 259**	**901 292**

© აღნიშნულ სატრენინგო მასალებზე დაცულია თორნიკე ჩხაიძის საავტორო უფლებები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	**37 000**	**3 721 268**	**3 758 268**
მოგება წლის ბოლოს	(32 000)	117 259	**85 259**
პერიოდის სრული შემოსავალი	(32 000)		**85 259**
გაცემული დივიდენდი		-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	**5 000**	**3 838 527**	**3 843 527**